

სოგერთ (რომანი) დიაკონი  
დიაკონი ცლიზეარ დიაკონი

**ნარქვევი  
დიაკონიპევების  
გვარის წარმომავლობის  
შესახებ**



**რობერტ (რომანოზ) დიაკონიძე  
დიაკონი ელიზბარ დიაკონიძე**

## **ნარპვევი დიაკონიძების გვარის ნარმომავლობის შესახებ**

ნარპვევი იბეჭდება სრულიად საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქისა და მცხეთა-თბილისის  
მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის,  
ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.



**გამომცემლობა „ანიკასალი“  
თბილისი 2010**

ნარკვევში წარმოდგენილია დიაკონიძების გვარის  
წარმომავლობისა და მომდინარეობის ისტორია

რეცენზიურულტანტი ფილოლოგის მეცნიე-  
რებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**

გამომცემლობის რედაქტორი

© რ. დიაკონიძე, ე. დიაკონიძე, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-048-5

## გესავალი

გავეცანით რა არსებულ სამეცნიერო შრომებსა და ცნობარებს გვარების წარმოშობის შესახებ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქართველ მკვლევართა უმრავლე-სობის აზრი ამ საკითხის ირგვლივ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. დადგენილია, რომ გვარების წარმოქმნის გზები და საშუალებები მრავალ-ფეროვანია და უკავშირდება: სახელისაგან წარმოქ-მნილ გვარებს, დახასიათების შემცველ, ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელ, წარმომავლობისა და სა-დაურობის აღმნიშვნელ და სხვადასხვა საგნის სახელ-წოდებისაგან ნაწარმოებ გვარებს.

ვინაიდან დიაკონიძეების გვარის წარმოშობის შე-სახებ ინფორმაცია (მცირე გამონაკლისის გარდა) ვერ მოვიკვლიერ, გადავწყვიტეთ, საკუთარი შესაძლებლო-ბის ფარგლებში და ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შრომებზე დაყრდნობით გამოგვეკვლია დიაკონიძეების გვარის წარმომავლობა.


ნარკვევის ავტორები არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ ანთროპონომიკის დარგის სპეციალურ კვლევა-ძიებაზე და მხოლოდ საკუთარი გვარის წარმო-მავლობის შესწავლისა და ინტერესის გამო ცდილობენ, შესაძლებლობის ფარგლებში, შეავსონ ქართველი მეც-ნიერების მოსაზრებები, რისთვისაც იყენებენ ისტორი-ულ-გეოგრაფიულ კვლევებს, გვარის უხუცესთა გად-მოცემებს, კონსულტაციებს ხულო-სხალთის ეპარქიის მეუფე სპირიდონისა და სხვა საეკლესიო მოღვაწეთა-გან, აგრეთვე ქართული გვარ-სახელების ცნობილი მკვლევარისაგან, პროფესორ ზ. ჭუმბურიძისგან.

ყველა იმ პირს, ვინც დიაკონიძეების გვარის წარ-მოშობის შესახებ მოგვაწვდის დამატებით ცნობებს ან გაგვიწევს ოპონირებას ჭეშმარიტების დადგენაში, წი-ნასწარ მოვახსენებთ დიდ მადლობას.

## მოსაზრება დიაკონიკაების გვარის ცარმლობრივ შესახებ

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონში, მთიან აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 750-850 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს სოფელი დიაკონიძეები. სოფელში მოედინება მდინარე დიაკონიძე, რომელიც სოფელს ორ ნაწილად ყოფს და ერთვის მდინარე აჭარისწყალს. სურ. 1, 2, 3, 4.

ამჟამად სოფელში დიაკონიძეთა გვარის არც ერთი წარმომადგენელი არ ცხოვრობს. რატომ მოხდა ასე? რა ვითარება იყო ადრე, ან რატომ ჰქვია სოფელსა და იქ გამავალ მდინარეს აღნიშნული სახელწოდებანი? ამ ყველაფრის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.



### სურ. 1. ხულოს მუნიციპალიტეტის რუქა.



სურ.2. სოფელ დიაკონიძეების ხედი.



სურ.3. მდინარე დიაკონიძის შესართავი აჭარისწყალთან.

როგორც ცნობილია, წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული საქართველოში ქრისტიანული რელიგიის საქადაგებლად პირველად აჭარის ტერიტორიაზე შემოვიდა ახალი წელთაღრიცხვის | საუკუნის 40-50-იან წლებში. მან გოდერძის უღელტეხილის გავლით იმოგზაურა კლარჯეთსა და სამცხეში, აქედან კი, ზეკარის უღელტეხილისა და იმერეთის გავლით, ქრისტიანობის ქადაგება გააგრძელა სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში.



სურ.4. სოფელ დიაკონიძეების მცხოვრებლები  
სტუმართან ერთად.

ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დადგენილია, რომ პირველი ქრისტიანული ტაძარი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აგებულია ახალი წელთაღრიცხვის | საუკუნეში მთიან აჭარაში, მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე ე.წ. საკანაფოს გორაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 1200 მეტრ სიმაღლეზე, წმინდა მოციქულის ანდრია

პირველწოდებულის ქადაგებით. ეს ტერიტორია ეკუთ-ვნის დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარას, რომლისგანაც სულ ორი-სამი კილომეტ-რის დაშორებით, მთის ფერდობზე მდებარეობს სოფე-ლი დიაკონიძეები. სურ. 5, 6, 7, 8, 9.



სურ.5. პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები სა-კანაფოს გორაზე სოფ. დიდაჭარაში.



სურ.6. პირველი ქართული ქრისტიანული  
ტაძრის აღმნიშვნელი წარწერა.



სურ. 7. პირველი ქართული ქრისტიანული  
ტაძრის ხედი სამხრეთის მხრიდან.



სურ. 8. წმინდა მოციქულის ანდრია  
პირველწოდებულის ხატის ასლი.



სურ. 9. მდ. აჭარისწყლის ხეობისა და იქ გაშენებული სოფლების ხედი ტაძრის ნანგრევებიდან.

სოფელ დიაკონიძეების ძველი სახელნოდება, სამწუხაოოდ, არ არის შემონახული. ადგილობრივ მცხოვრებთა და საეკლესიო მოღვაწეთა გადმოცემით, სოფელ დიდაჭარაში აშენებულ ქრისტიანულ ტაძარში პირველი ღვთისმსახურნი (დიაკვნები) წმინდა მოციქულ ანდრია პირველნოდებულის კურთხევით, სწორედ დღევანდელი სოფელ დიაკონიძეების მცხოვრებთაგან იყვნენ გამწესებულნი. ცხადია ეკლესის ფუნქციონირება დიაკვნების გარეშე შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დიაკონიძეების გვარი ეკლესიის მსახურთა წოდებისგან არის წარმოქმნილი და, როგორც ქართული გვარების უმრავლესობა, XIV-XV საუკუნეებიდან იღებს სათავეს. დიაკონიძეების გვარის წარმოშობის ზემოაღნიშნულ ვერსიას ადასტუ-

რებს პროფესორ ზ. ჭუმბურიძის კვლევა გვარების წარმოშობის შესახებ. აღნიშნულ მოსაზრებას უდაოდ განამტკიცებს და ადასტურებს სოფლისა და მდინარის ტოპონიმიკა (სოფელი დიაკონიძეები და მდინარე დიაკონიძე), რაც გვარების წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად და უტყუარ ფაქტორს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიაკონიძეების გვარის წარმომავლობის საფუძველი მათი საეკლესიო მოღვაწეობაა, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი დიაკონიძეები თამამად შეიძლება ვალიაროთ მათ სამკვიდროდ. გარდა ამისა, შესაძლებელია ვივარაუდოთ ისიც, რომ დიაკონიძეების გვარი მესხური წარმოშობისაა, თუმცა საკითხი ჩვენს კომპეტენციას სცილდება და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

როგორც შესავალში აღვნიშნავდით, ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა ისტორიული ცნობები და სამეცნიერო წაშრომები დიაკონიძეების გვარის მომდინარეობის შესახებ, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირედი მასალა მოვიპოვეთ. მათ შორის აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის შრომა, (“რა გქვია შენ”, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბ. 2003), რომელშიც მოკლედ, მაგრამ კვალიფიციურად და მაღალპროფესიულ დონეზე არის გადმოცემული დიაკონიძეების გვარის წარმომავლობის შესახებ. რაც შეეხება სხვა მასალებს, მათ შორის, „პირთა ანოტირებულ ლექსიკონს“ (I ტომი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1991), რომლის მიზანსაც ისტორიულ საბუთებში შემონახულ პირთა სახელების გამომზეურება და თითოეულ მათგანზე, შესაძლებლობის ფარგლებში, საბუთებში დაცული ცნობების მეითხველისათვის თანმიმდევრულად მოწოდება შეადგენს, დიაკონიძეების გვარის წარმოშობაზე ღირებულ ინფორმაციას არ შეიცავს.

## **რატომ არ ცხოვრობს დღეს სოფ. დიაკონიძეებში აღნიშნული გვარი?**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად სოფ. დიაკონიძეებში ერთი დიაკონიძეც კი არ ცხოვრობს. ისმის კითხვა - რატომ?

ადგილობრივ უხუცესებთან საუბრის შემდეგ, რომ-ლებმაც მწირი, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდეს დიაკონიძეების გვარის შესახებ, აგრეთვე, ეპლესის მსახურთა გადმოცემითა და აჭარის ისტორიულ მასალათა გაანალიზების შედეგად, შეიძლება გავაკეთოთ სავარაუდო დასკვნა, რომელსაც, ჩვენი აზრით, არსებობის უფლება აქვს და შემდეგში მდგომარეობს:

ახალი წელთაღრიცხვის XVI-XVII საუკუნეებში, საქართველოში ოსმალთა ბატონობისა და აჭარის რეგიონში თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის პერიოდში, სასტიკად იდევნებოდა მართლმადიდებლურქისტიანული რელიგია. ადგილობრივი მოსახლეობა დამპყრობლების მძიმე წერხის ქვეშ იმყოფებოდა და ძალისმიერი ხერხებით თანდათან მკვიდრდებოდა მაპმადიანობა. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ძალზე რთული იყო დიაკონიძეების გვარის არსებობა, რომლებიც, ძირითადად, ღვთისმსახურებისათვის იყვნენ მოწოდებული და სულითა და გულით მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. სავარაუდოდ, მათ ვერ გაუძლეს ასეთ ყოფას და ისლამურ სარწმუნოებაზე მოქცევას მშობლიური ადგილებიდან აყრა და საქართველოს სხვა კუთხებში გადასახლება ამჯობინეს. შეიძლება ისინი სწორედ ქართველთა პირველი განმანათლებლის, წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის განვლილი გზით, აჭარიდან გოდერძისა და ზეკარის უღელტეხილების გავლით გადმოვიდნენ იმერეთში და კომპაქტურად დასახლდნენ მაშინდელი ისტორიული ცენტრის, ჩხარის (დღევანდელი თერჯოლა) რაიონში, ხოლო შემ-

დეგ იქიდან საქართველოს სხვა რაიონებშიც მიმოიფან-ტნენ. ამჟამად დიაკონიძეების გვარის უმრავლესობა კვლავ თერჯოლისა (220 სული) და ვანის (212 სული) რაიონის სოფლებში, ქალაქებში: ქუთაისსა (182 სული), თბილისში და, მცირე რაოდენობით, სხვა რეგიონებშიც ცხოვრობენ. ავთანდილ სილაგაძის მიხედვით, დღეი-სათვის საქართველოში მათი რიცხვი 907-ს შეადგენს. (“გვარ-სახელები საქართველოში”, გამომცემლობა “სამშობლო”, თბილისი, 1997, გვ. 74)

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესის სა-ჭეთმპყრობლის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრული-ად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და მცხე-თა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის ინიცია-ტივით, ბოლო პერიოდში მუდმივად მიმდინარეობს ქარ-თული გვარების კურთხევა, რაც ყოველი გვარისათვის მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით საამაყოა ტრადიცი-ად ქცეული ეს ინიციატივა დიაკონიძეებისათვის, ჩვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან უფლის სამსახურში მყოფი გვარისათვის. სწორედ ასეთი სიხარულის მომტა-ნი დღე იყო 2009 წლის 4 ოქტომბერი, როცა უწმინდესმა და უნეტარესმა სამების საკათედრო ტაძარში აკურთხა დიაკონიძეების საგვარეულო და ამის აღსანიშნავად, სპეციალურად დაინერა დიაკონიძეების საგვარეულოს სამთავისის წმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც, აგრეთვე, წაკურთხი იქნა სრულიად საქართველოს კა-თოლიკოს-პატრიარქის მიერ. საგვარეულოს კურთხე-ვაზე მისული დიაკონიძეები, ასევე ისინი, ვინც კურთხე-ვაზე მისვლა ვერ შეძლეს, დიდი კმაყოფილებით და სია-მაყით აღნიშნავდნენ ამ ფაქტს. სურ. 10, 11, 12.

## **დიაკონიძეების საგვარეულო სამთავისის ნიშნული და მიმღებლის ხატიან დაკავშირებული ამბავი**

აუცილებლობად ჩავთვალეთ, მკითხველისათვის მოგვეთხრო ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ ნაკურთხ საგვარეულო ხატთან.

დიაკონიძეების საგვარეულო ხატის დაწერის მთავარი ინიციატორი იყო სამების საკათედრო ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარი. მან ხატი, დიაკონიძეების საგვარეულოს სახელით, უასახსოვრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესა და უნეტარეს ილია II-ს, რომელიც უწმინდესმა წარმატების წარმატებას მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ ნარკვევის დაწერა დიაკონიძეების გვარის წარმომავლობის შესახებ, მოვინდომეთ საგვარეულო ხატის ასლის გადაღება და ნარკვევში ჩასმა. მამა ელიზბარმა ხატის მოქებნა სთხოვა უწმინდესისა და უნეტარესის სტიქაროსანს, რომელმაც საპატრიარქოში ხატი ვერ იპოვა. გარკვეული დროის შემდეგ მამა ელიზბარმა სამების საკათედრო ტაძრის წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოში შემთხვევით აღმოაჩინა, რომ სწორედ იქ იყო დაბრძანებული უწმინდესის მიერ ნაკურთხი დიაკონიძეების საგვარეულო სამთავისის წმინდა ღვთისმშობლის ხატი. ნიშანდობლივია, რომ ხატი დაბრძანებულ იქნა აღნიშნულ სამლოცველოში, რადგანაც ჩვენი გვარის წარმომავლობა პირდაპირ უკავშირდება წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობას.



სურ. 10 სამთავისის ღვთისმშობლის დიაკონიძების  
საგვარეულო ხატის ასლი.



სურ. 11. წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
სამლოცველო სამების საკათედრო ტაძარში.




სურ. 12. საგვარეულოს კურთხევაზე მისული დიაკონიქების გვარის  
წარმომადგენლები სამების საკათედრო ტაძრის შესასვლელთან.

## პოლიტიკა

ნარკვევის მომზადების პერიოდში, ბროშურის ერთ-ერთ ავტორს ხშირად უხდებოდა მოგზაურობა სამხრეთ საქართველოსა და მთიან აჭარაში, კერძოდ, მდინარეების-ქვაბლიანისა და აჭარისწყლის ხეობებში. რ. დიაკონიძე გვიამბობს: „როცა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. დიდაჭარაში, საკანაფოს გორაზე პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებზე შევდგი ფეხი, რაღაც განსაკუთრებული განცდა დამეუფლა, წარმოვიდგინე და შევიგრძენი, თუ როგორ ამაყად დგანან მდ. აჭარისწყლის ხეობაში მდებარე სხალთისა და მდ. ქვაბლიანის ხეობაში არსებული ზარზმის მოქმედი ტაძრები და ფხიზლად სდარაჯობენ ჩვენს სათაყვანო ქრისტიანულ-მართმადიდებლურ სარწმუნოებას ზე-მოხსენებულ რეგიონში (სურ.12,13.), ხოლო იქ, სადაც იმ წუთებში ვიდექი (დაახლოებით შუა აღგილას აღნიშნულ ტაძრებს შორის), პირველი ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებზე, თითქოს მესმოდა, რომ ნანგრევების ქვები ღალადებდნენ და ელოდნენ ამ აღგილზე უფლის სახლის (ტაძრის) აღდგენას“.



სურ. 13 ზარზმის მონასტრის ხედი.



სურ. 14 სხალთის მონასტრის ხედი.

გვინდა იმედი გვქონდეს, რომ გამოჩნდება ვინმე ქველმოქმედი, რომელიც არ დაიშურებს სახსრებს | საუკუნის ქრისტიანული ტაძრის აღდგენისათვის და კვლავ წამოიმართება იქ ტაძარი. დიაკონიძეების გვარს კი ვუსურვებთ, რომ უფრო გაძლიერებულიყოს მათში უფლის სიყვარული, დიაკონიძეების გვარის უფრო მეტი წარმომადგენელი ჩამდგარიყოს უფლის სამსახურში და ღირსეულად ეზიდოთ ის ტვირთი (მოვალეობა), რომელიც დაეკისრათ მათ ახ. წ. აღ. | საუკუნიდან.

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!  
დიდება უფალს!**



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. კავკავაძის გამზ. 19, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge



გერმანი მამა გიორგი



ევროპის უძლისარ მამა გიორგი

გვიგვილი მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი, წყალთა  
მეცნიერის ინსტიტუტის გარემოს  
დაცვის ღამისამართობის  
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 40  
წლის მეტია მუშაობას გარემოს  
ეკოლოგიური უსაფრთხოების  
პრიმერებზე, არის მრავალი  
ათეული სამეცნიერო შრომის  
ავტორი. მას მნიშვნელოვანი  
ნიულილი აქვს შეტანილი დედამინის  
შემსნაველ მეცნიერებათა განვი-  
თარებაში. სამეცნიერო  
მუშაობასთან ერთად, ენევა  
მრავალმხრივ პრაქტიკულ  
საქმიანობას. მუდმივად მონანი-  
ლეობს ბუნებრივი სტიქიებით  
გამოიწვევლი ნეგატიური  
პროპლემების სანინააღმდეგო  
პრევენციული ღონისძიებების  
დამუშავებაში. როგორც გარემოს  
ექსპერტი სამნაზევარი ნელი  
მუშაობდა საზღვარგარეთ. არის  
ბუნებრივი რესურსების  
რაციონალური გამოყენებისა და  
გარემოს ეკოლოგიური  
უსაფრთხოების დაცვის  
არასამთავრობო საერთაშორისო  
კავშირის „უნიკალური კავკასიის“  
პრეზიდენტი.

სამების საეთედრო ტაძრის  
დიაკონი. უმაღლესი ტექნიკური  
განათლებით, დამთავრებული  
აქვს სასულიერო აკადემია  
დოკომეტიკების განხილით.  
უნინდესისა და უნეტანის  
ილია II-ის ხელდასმით 1995 წლიდან  
მოღვაწეობს საქართველოს  
მართლმადიდებლურ ეკლესიებში.

ISBN 978-9941-17-048-5



9 789941 170485